გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ოქმი № 3

29 მაისი 2026 წელი.

ქ. გარდაბანი

11:00 სთ.

2026 წლის 29 მაისს 11:00 საათზე ჩატარდა გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის N3 სხდომა.

სხდომას უძღვებოდა - კომისიის თავმჯდომარე ლევან ნიჟარაძე.

კომისიის სხდომას ესწრებოდნენ, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრები:

თორნიკე ქავთარაძე
ისლამ მამედოვი
გუსეინკულუ მუსაევი
ქართლოსი მამულაძე
დავით ებილაშვილი
ზაქირ დაშდამიროვი
ლაშა ქართლოსიშვილი
ხვიჩა ჩიტაშვილი
ილხამ ბაირამოვი

არ ესწრებოდა: სამირ ხიალოვი, ლევანი ბეგლარიშვილი, ზაზა ონიანი.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ:

გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახურის, საფინანსო-საბიუჯეტო განყოფილების ხელმძღვანელი - ბესარიონ მაისურაძე;

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა, დამსწრეთ გააცნო დღის წესრიგი და კენჭი უყარა წარმოდგენილი დღის წესრიგის დამტკიცებას.

მიღებული გადაწყვეტილება:

დამტკიცდეს დღის წესრიგი შემდეგი სახით:

1. საქართველოს კანონის ,,საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“-ს 85-ე მუხლის შესაბამისად წარმოდგენილი, გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის პირველი კვარტლის შესრულების ანგარიშის შესახებ.

განხილულ იქნა :

საკითხი 1 - საქართველოს კანონის ,,საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“-ს 85-ე მუხლის შესაბამისად წარმოდგენილი გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის პირველი კვარტლის შესრულების ანგარიშის შესახებ.

მუნიციპალიტეტის მერის 7 მაისს №18-182612741 წერილით წარმოდგენილი, გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის პირველი კვარტლის შესრულების ანგარიშის შესრულების შესახებ ინფორმაცია კომისიის წევრებს წარუდგინა, გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახურის, საფინანსო-საბიუჯეტო განყოფილების ხელმძღვანელმა - ბესარიონ მაისურაძემ.

გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიამ მიმდინარე წლის 29 მაისს ჩატარებულ სხდომაზე განიხილა და დადებითად შეაფასა გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის პირველი კვარტლის ანგარიში, მერიის სამსახურებიდან და სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციებიდან მოწოდებული ინფორმაციის და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის გათვალისწინებით, რომელიც მოიცავს ბიუჯეტის ბალანსს საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით, შემოსულობების, გადასახდელების და ნაშთის ცვლილების ფაქტობრივი მოცულობების შედარებას შესაბამისი პერიოდის გეგმიურ მაჩვენებლებთან, ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებულ ნაშთებს პერიოდის დასაწყისისა და დასასრულისათვის,

დაზუსტებული ასიგნებების შესრულების მაჩვენებლებს. ანგარიში ასევე შეიცავს ინფორმაციას, დასახული პრიორიტეტების ფარგლებში განხორციელებული ხარჯების შესახებ, მერის სარეზერვო ფონდიდან და წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვის შესახებ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის ბიუროსა და საკრებულოს სხდომაზე განხილვას.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 10 წევრი.

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად მიზანშეწონილად მიაჩნია, გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2026 წლის პირველი კვარტლის შესრულების ანგარიში განსახილველად გავიდეს ბიუროსა და საკრებულოს სხდომაზე.

სხდომის თავმჯდომარე: ლევანი ნიჟარაძე.